საქართველოს
მელიორაცია
GEORGIAN
AMELIORATION

+995 032 00 10 00
info@ag.ge
www.ag.ge

N გ-991
04/04/2022

991-გ-2-202204041128

მცხეთის მუნიციპალიტეტის მერს
ბატონ დიმიტრი ზურაბიშვილს

ბატონო დიმიტრი,

შპს „საქართველოს მელიორაციაში“ შემოსულია მცხეთის მუნიციპალიტეტის მერიის 2022 წლის 17 მარტის 34-3422076140 წერილი, რომელშიც დასმულია საკითხი მცხეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ნავაზში მდებარე 2586კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთიდან (ს.კ 72.03.10.310) 362 კვ.მ მიწის ფართის აუქციონის წესით შესყიდვის მიზნით.

გაცნობებთ, რომ აღნიშნულ ტერიტორიაზე (ს.კ 72.03.10.310) გადის ლამი-მისაქციელის მაგისტრალური არხის გ-1 გამანაწილებელი, რომლის გასხვისების ზოლი მოცემულ შემთხვევაში შეადგენს სარწყავი არხის მარჯვენა მხარეს 6 მეტრს და მარცხენა მხარეს 4 მეტრს, „სამელიორაციო სისტემების ნაგებობებისათვის მიწის ზოლებისა და ნაკვეთების მიჩენა-გასხვისების საამშენებლო ნორმის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ურბანიზაციისა და მშენებლობის მინისტრის 30.06.2003 წლის N19 ბრძანების შესაბამისად.

აღნიშნულიდან გამომდინარე შემდგომში მიწის ნაკვეთის რაიმე ფორმით გასხვისების შესაბამის ხელშეკრულებაში გათვალისწინებული უნდა იქნას გასხვისების ზოლების დაცულობა. ასევე, დაცული უნდა იყოს საქართველოს მთავრობის 31.12.2013 წლის N409 და N440 დადგენილებით გათვალისწინებული მოთხოვნები, რათა ხელი არ შეეშალოს სამელიორაციო სისტემების გამართულ ტექნიკურ ექსპლუატაციას. აღნიშნული შეზღუდვა ასახული უნდა იყოს სსიპ „საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში“ ხელშეკრულებების რეგისტრირებისას.

პატივისცემით,

თენგიზ ნასარიძე

გენერალური დირექტორი

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო
საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი

N 2-03/4399
28/03/2022

4399-2-03-2-202203280957

მცხეთის მუნიციპალიტეტის მერს
ბატონ **დიმიტრი ზურაბიშვილს**

ბატონო **დიმიტრი,**

საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტმა განიხილა თქვენი 2022 წლის 16 მარტის №34-3422075233 წერილი, რომელიც შეეხება მცხეთის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში, სოფელ ნავაზში, საერთაშორისო მნიშვნელობის მცხეთა - სტეფანწმინდა - ლარსის (რუსეთის ფედერაციის საზღვარი) საავტომობილო გზის კმ9-ის მიმდებარედ, საავტომობილო გზის ღერძიდან მარჯვენა მხარეს **16** მეტრის დაშორებით არსებული 2586 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთიდან (ს/კ 72.03.10.310) ნაწილი ფართის - **362 კვ.მ.** მიწის ნაკვეთის (წარმოდგენილი დანართის მიხედვით) აუქციონის წესით შესყიდვის საკითხს.

აღნიშნულთან დაკავშირებით გაცნობებთ, რომ საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი **არ არის წინააღმდეგი** მოხდეს დაინტერესებაში არსებული **362 კვ.მ.** მიწის ნაკვეთის (წარმოდგენილი დანართის მიხედვით) განკარგვა.

ამასთანავე გაცნობებთ, რომ „საავტომობილო გზების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად საავტომობილო გზებზე, გზისპირა ზონაში (გზის ღერძიდან 100 მეტრი ორივე მხარეს) გზების მფლობელთან (მოცემულ შემთხვევაში საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი) შეუთანხმებლად აკრძალულია ნებისმიერი სამშენებლო და სხვა სახის სამუშაოთა წარმოება.

დანართი - 1 ფურცელი.

პატივისცემით,

დავით გეწაძე

დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილე